



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

10 მაისი 2025 წელი

N 6/36

ეგზ. N1

სსიპ – სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
შესაბამისობის აუდიტი

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	2
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	7
1. შესავალი	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	9
აუდიტის მიზანი	9
აუდიტის მეთოდოლოგია	10
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
2. აუდიტის მიგნებები	13
2.1 ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება	13
2.2 აქტივების მართვა-განკარგვა	14
2.3 შრომის ანაზღაურება	17
2.4 სახელმწიფო შესყიდვები	21
დანართები	38
საკონტაქტო ინფორმაცია	43

ტერმინები და შემოკლებები

ცენტრი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ტენდერი – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ელექტრონული ტენდერი.

ჩაშლილი ტენდერი – ელექტრონული ტენდერი, რომელიც შეწყვეტილია, არ შედგა ან დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

შსს-ს მომსახურების სააგენტო – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

რუსთაველის ფონდი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

საბიუჯეტო გადასახდელების დაგეგმვის პროცესის ნაკლოვანებები:

2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში ასიგნებების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 718,000 ლარი, მათ შორის, არასაცხოვრებელი შენობები – 70,000 ლარი, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი – 648,000 ათასი ლარი, რაც 440,000 ლარით ნაკლებია საბიუჯეტო განაცხადის მონაცემთან. ამასთანავე, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შესაძენად დამტკიცებული 648,000 ლარიდან მითითებული მიზნით გამოყენებულია მხოლოდ 32,928 ლარი, ანუ 5.1%. ასიგნების დანარჩენი მოცულობა გადანაწილდა გადასახდელების სხვადასხვა სახეობაში.

აქტივების მართვა- განკარგვა

ავტოპარკის რიცხოვნობის შეუსაბამობა დადგენილ ნორმებთან:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიაზე მიმართვის განუხორციელებლობისა და შესაბამისი გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, ცენტრს ბალანსზე ერიცხება 10 ერთეული სპეცდანიშნულების ავტომანქანა.

სხვა უწყების სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა:

ცენტრის მხრიდან შესაბამისი ქმედებების განუხორციელებლობის შედეგად, მის სარგებლობაში გადმოცემული ერთ-ერთი ავტომანქანა, შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულია სხვა უწყების სახელზე.

საწვავის ჩამოწერასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები:

შესრულებული სამუშაოების აქტებში კონკრეტული თარიღების, მძიმე ტექნიკის მარკის, მოდელისა და სარეგისტრაციო ნომრის მიუთითებლობის გამო, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება მძიმე ტექნიკის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად გახარჯული საწვავის სიზუსტეზე.

სავალდებულო ინვენტარიზაციის განხორციელების ნაკლოვანება:

ცენტრში 2022-2023 წლებში არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც მიუთითებს საკანონმდებლო მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებაზე.

შრომის ანაზღაურება

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოები:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, 2022-2023 წლებში ფულადი ჯილდოების გაცემა ხორციელდებოდა ზემდგომი თანამდებობის პირების წარდგინებების გარეშე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

დადგენილ ნორმასთან შეუსაბამო სახელფასო კოეფიციენტი:

2022 და 2023 წლებში, ცენტრის ერთ-ერთი პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის პოზიციაზე განსაზღვრული სახელფასო კოეფიციენტი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმება საშტატო პოზიციებზე:

ზოგიერთ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პირები დასაქმებული იყვნენ ხანგრძლივი პერიოდით, მათ შორის, სრული ორი წლით და შტატით განსაზღვრულ პოზიციებზე, რაც მიუთითებს მათ დასაქმებაზე ცენტრის მუდმივი ამოცანების და არა დამხმარე ან/და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. ამასთანავე, წლების განმავლობაში, საშტატო პოზიციებზე დამატებითი პერსონალის აყვანის მოთხოვნები აგრეთვე მიუთითებს დაწესებულებაში საშტატო ნუსხების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე.

შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენლობა:

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ ერთ-ერთ პირთან მიმართებით, ვერ იქნა წარმოდგენილი მასზე დაკისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული შესაბამისი დასკვნები, რომელთა შედგენა და ცენტრის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა ევალებოდა დასაქმებულს.

სახელმწიფო შესყიდვები**საავანსო გარანტიის წარმოდგენლობა:**

ტვირთის გადაზიდვის მომსახურების ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა წინასწარ ანგარიშსწორებას. აღნიშნულის მიუხედავად, ცენტრის მიერ განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდა და ამასთანავე, მომწოდებელზე მოთხოვნილი არ ყოფილა კანონმდებლობით დადგენილი – წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის წარმოდგენა;

456,900 ლარის სავარაუდო ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

394,100 ლარის ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების ვადა გახანგრძლივდა 60 დღით, რასთან დაკავშირებითაც აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული სამუშაოების შესრულების ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების შესწავლისა და ობიექტურობის განსაზღვრის დოკუმენტური მტკიცებულებები. ამასთანავე, წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების პერიოდი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნას.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დაუდასტურებლობა:

ცხოველის საკვების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება, რაც მიუთითებს სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე.

შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების, მათ შორის, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებები:

207,000 ლარის ღირებულების ჰიდროპონიკური მოწყობილობების შესყიდვაზე ჩატარებული ორი ტენდერი არ შედგა, მესამე კი შეწყდა შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით შედგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, რაც მიუთითებს ცენტრის მხრიდან შესყიდვის

წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე;

ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვით მომსახურების შესყიდვაზე ხელმეორედ გამოცხადებულ ტენდერში, იმის მიუხედავად, რომ შემცირდა მომსახურების მოცულობა, გაიზარდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რაც მიუთითებს შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოებისა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე;

შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე ხელმეორედ გამოცხადებულ ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაზრდილია 20,000 ლარით, რაც ასევე მიუთითებს ანალოგიურ ნაკლოვანებებზე;

ლაბორატორიული ავეჯის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება, როგორც ბაზრის კვლევით განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებებში, ისე ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების შეთავაზებებში. კერძოდ, პირველი ტენდერის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 550,000 ლარს, მეორესი – 380,000 ლარს. პირველ ტენდერში შეთავაზებული უმცირესი ფასია 277,000 ლარი, უმაღლესი – 377,720 ლარი. მეორე ტენდერში უმცირესი ფასი შეადგენდა 237,800 ლარს, უმაღლესი – 350,000 ლარს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე;

სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებულ ორ ტენდერში სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრელი ხარჯთაღრიცხვებით, რიგ შემთხვევებში არმატურის ფასი მნიშვნელოვნად აღემატება ა(ა)იპ – მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოქვეყნებულ სამშენებლო რესურსების სახარჯთაღრიცხვო ფასებს. ამასთანავე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები განსხვავდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის მართლზომიერებაზე.

სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის ნაკლოვანებები და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა:

93,400 ლარის სავარაუდო ღირებულების, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერით განსაზღვრული არ ყოფილა შესაბამისი მოთხოვნები, პრეტენდენტთა შესაძლებლობების დადგენის თვალსაზრისით. სპეციფიკურ მომსახურებებთან მიმართებით ასეთი მოთხოვნების განუსაზღვრელობა იძლევა ტენდერებში არაკომპეტენტური პირების მონაწილეობის შესაძლებლობას. მათი გამარჯვების შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა კი, თავის მხრივ, განაპირობებს შესყიდვების დროში გაჭიანურებას;

62,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, სპეციფიკური მახასიათებლების მქონე შინაური ცხოველების საკვების შესყიდვების პროცესში განსაზღვრული არ იყო, თუ რა დოკუმენტაციის ან/და ვალიდური ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაედასტურებინათ პრეტენდენტებს მათ მიერ შეთავაზებული პროდუქციის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით. შედეგად, სატენდერო

კომისიის მიერ ვერ განხორციელდებოდა შემოთავაზებული პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრა დადგენილ პარამეტრებთან მიმართებით. აღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობა კი წარმოქმნის, მოთხოვნილ ხარისხთან შეუსაბამო პროდუქციის მიღების შესაძლებლობის რისკებს;

34,500 ლარის სავარაუდო ღირებულების 15 დასახელების მოლეკულური კვლევის რეაგენტების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერით განსაზღვრული პირობებიდან გამომდინარე, გამარჯვებული პირი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას. ამასთანავე, მიზანშეწონილი იყო, რომ პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების მართვის ხარისხთან დაკავშირებული სერტიფიკატის ნაცვლად, ან/და მასთან ერთად, მოთხოვნილი ყოფილიყო მოსაწოდებელი პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის ნაკლოვანებებსა და სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე;

30,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობილობების შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად ისე, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილ პირობას, რაც მიუთითებს სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებებზე;

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების, 10,000 ლარის სავარაუდო ღირებულების ტექნიკურ მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში, ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად. ამასთანავე, ვლინდება სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის ხარვეზები. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებებზე;

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, 2023 წელს გამოცხადებული სამი ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ფასები, რიგ იდენტურ მომსახურებაზე, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთანავე, ერთ-ერთ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი, შეუსაბამოდ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიუხედავად, არ იქნა დისკვალიფიცირებული. აღნიშნული მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის ნაკლოვანებებსა და სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე;

სხვადასხვა სახის, 380,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, ლაბორატორიული ავეჯის შესყიდვაზე 2023 წელს გამოცხადებული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო დადგენილი წინასწარი ანგარიშსწორების პირობები. აღნიშნულის მიუხედავად, ტენდერში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრა წინასწარი ანგარიშსწორება, სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით. მართლზომიერების პრინციპებიდან გამომდინარე კი მიზანშეწონილია, რომ წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პირობები განსაზღვრული იყოს სატენდერო დოკუმენტაციით, რაც პოტენციურ მიმწოდებლებს მისცემს ნათელ წარმოდგენას

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ საკითხზე, რამაც თავის მხრივ შესაძლებელია განაპირობოს კონკურენციის ზრდაც;

მარცვლეულის შესყიდვასთან დაკავშირებით, ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ქერის ყუათიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე.

ხელშეკრულებებით განსაზღვრული მომსახურებების მოცულობითი ცვლილებები:

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ცვლილებებით, ღირებულებები შემცირდა ისე, რომ არ განსაზღვრულა შემცირებულ სამუშაოთა სახეობები და მოცულობები. ამასთანავე, ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივად შემცირებულ სამუშაოთა მიზანშეწონილობის დოკუმენტური დადასტურება.

ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები:

ზოგიერთ შესყიდვასთან მიმართებით, ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. შესაბამისად, მოცემულ შესყიდვებთან მიმართებით, ვერ იქნა მიღებული დასაბუთებული რწმუნება, ცენტრის მიერ წინამოსამზადებელი სამუშაოების სათანადო განხორციელებაზე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

აქტივების აღრიცხვის სისრულის, სიზუსტისა და არსებობის დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა საკუთარ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაარეგისტრიროს ცენტრის სახელზე.

რეკომენდაცია N2. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

მძიმე ტექნიკის საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა დანერგოს სრულყოფილი კონტროლის მექანიზმები. მიზანშეწონილია, რომ შემუშავდეს სპეციალური ფორმა, რომელშიც აისახება საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი აუცილებელი მონაცემი/რეკვიზიტი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისრულეს.

რეკომენდაცია N3. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

შტატით გათვალისწინებულ პოზიციებზე შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმების თავიდან არიდების მიზნით, აუცილებლობით გამოწვეული გარემოებების გარდა, განხორციელდეს საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაცია, შესაბამის პოზიციებთან მიმართებით.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2022-2023 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმენების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

- ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება;
- აქტივების მართვა-განკარგვა;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- შემოსავლები და ხარჯები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2022-2023 წლების საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/5 ბრძანება „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის N2-51 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N01-133/5 „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევებულებების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N2 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

- დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- აუდიტის ანგარიშის მომხმარებელისათვის ინფორმაციის მიწოდება

მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- გამოკითხვა;
- შემოწმება;
- ხელახალი გაანგარიშება;
- ანალიტიკური პროცედურები;
- ინტერვიუები;
- ვიზუალური დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შექმნილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N162 დადგენილების საფუძველზე. ცენტრის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ცენტრის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს:

- სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების კვლევა-დანერგვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლება;
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა;
- ბიოწარმოების ხელშეწყობის განვითარება;
- მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების მიმართ არსებული საფრთხეების შეფასება და მათი გადაჭრის გზების კვლევა;
- თესლისა და სარგავი მასალების კონტროლის საერთაშორისო სისტემების კვლევა, სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა, ხარისხობრივი მახასიათებლების კვლევა და სერტიფიცირება.

ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. ცენტრის დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე, მათ შორის, ერთი სამეცნიერო დარგში, ხოლო მეორე – ადმინისტრაციულ დარგში, რომელთაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის N2-51 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების“ მიხედვით ცენტრის პირველადი სტრუქტურული ერთეულებია:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ფინანსური სამსახური;
- სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახური;
- მეხილეობის კვლევის სამსახური;

- მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის სამსახური;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახური;
- ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახური;
- ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახური;
- ბიოაგროწარმოების სამსახური;
- მეცხოველეობისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტი;
- ვეტერინარიის კვლევის სამსახური;
- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტი;
- აგროსაინჟინრო კვლევის სამსახური;
- საზოგადოებასთან, რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახური;
- რისკის შეფასების სამსახური;
- მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახური;
- მოლეკულური მარკირების ლაბორატორია (დნმ ლაბორატორია);
- მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახური;
- ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური;
- აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახური;
- ეკოფიზიოლოგიის კვლევის სამსახური.

ცენტრი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს „ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორიის“ და შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი ანასეულის“ წილების მმართველს.¹

საქართველოს მთავრობის განკარგულებით² დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებებსა და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობაში, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად განვითარებას. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიმართულება. მათ შორის ერთ-ერთი მიმართულების ამოცანაა აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით, 2022 და 2023 წლებში ცენტრის მიერ განხორციელდა აქტივობები, საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებსა და პოპულაციებზე კვლევების ჩატარების და ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარების კუთხით. ცენტრის მიერ 2022 და 2023 წლებში დაგეგმილი და ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ N1-ში – ინფორმაცია 2022-2023 წლებში დაგეგმილ და ჩატარებულ კვლევებზე.

¹ შპს „ღვინის ლაბორატორიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შორის 2014 წლის 18 სექტემბერს (რეგისტრაციის თარიღი) გაფორმებული ხელშეკრულება და შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის ანასეულის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შორის 2014 წლის 5 დეკემბერს (რეგისტრაციის თარიღი) გაფორმებული ხელშეკრულებები.

² საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N2665 განკარგულება.

ცენტრის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები (იხ. დანართები: N2 – დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი, N3 – სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება და N4 – საკუთარი შემოსავლები).

საკუთარი შემოსავლების ძირითადი წყაროა სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ა(ა)იპ – კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული სახსრები.

რუსთაველის ფონდთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ცენტრი წარმოადგენს წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციას (იხ. დანართი N5 – სააუდიტო პერიოდში მოქმედი რუსთაველის ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებები).

გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტის³ ფარგლებში, 2023 წლის 11 აპრილს ა(ა)იპ – კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან გაფორმებულია ხელშეკრულება თანამშრომლობისა და სამეცნიერო-კვლევითი მომსახურების გაწევის თაობაზე. გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 48,067 აშშ დოლარს.⁴

აუდიტის პერიოდში მოქმედებდა უცხოელ დონორებთან გაფორმებული სამი საგრანტო ხელშეკრულება (იხ. დანართი N6 – მიზნობრივი გრანტები).

³ „აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახელებებში“.

⁴ ხელშეკრულება მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების მიხედვით, 2024-2026 წლების ბიუჯეტების შეთანხმება განხორციელდება ცალკე და ხელშეკრულებაში შუა დამატებითი დანართების სახით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულება და ანგარიშგება

2.1.1 საბიუჯეტო გადასახდელების დაგეგმვის პროცესის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებისა და გადასახდელების გაანგარიშებასა და დასაბუთებულობას საბიუჯეტო განაცხადების წარდგენის პროცესში. მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, წარუდგენენ საბიუჯეტო განაცხადებს.⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის ქვეშ მყოფ უწყებებს ევალებათ საბიუჯეტო განაცხადის შევსება დადგენილი დანართების შესაბამისად და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენა.⁶

გარემოება

2022 წლის საბიუჯეტო განაცხადის საქონელი და მომსახურების მუხლის ცალკეული ხარჯები, ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო სათანადოდ გაანგარიშებული. ანალოგიურად, სათანადოდ არ იყო დაანგარიშებული და დასაბუთებული ცენტრის საბიუჯეტო განაცხადისა და დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრები გადასახდელების არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში. კერძოდ, 2022 წლის საბიუჯეტო განაცხადით აღნიშნულ გადასახდელებში გათვალისწინებული იყო 1,158,000 ლარის ასიგნება, მათ შორის: არასაცხოვრებელი შენობების ნაწილში – 70,000 ლარი, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის ნაწილში – 1,088,000 ლარი. დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში კი ასიგნებების მთლიანმა მოცულობამ სულ შეადგინა 718,000 ლარი, მათ შორის: არასაცხოვრებელი შენობები – 70,000 ლარი, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი – 648,000 ათასი ლარი, რაც 440,000 ლარით ნაკლებია საბიუჯეტო განაცხადის მონაცემთან. ამასთანავე, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შესაძენად დამტკიცებული 648,000 ლარიდან ათვისებულია მხოლოდ 32,928 ლარი, ანუ 5.1%. ასიგნების დანარჩენი მოცულობა გადანაწილდა გადასახდელების სხვადასხვა სახეობაში. ასე მაგალითად, 2022 წლის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით,⁷ „საქონელი და მომსახურების“ მუხლში გადანაწილდა 160,000 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობების ზრდის ნაწილში – 377,000 ლარი, რაც შემდგომში გადარიცხულია მომწოდებელ ორგანიზაციებზე ავანსის სახით. ცენტრის განმარტებით, აღნიშნული განპირობებული იყო პრიორიტეტის ცვლილებით.

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 36.

⁶ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 7711/01, 23.07.2021წ.

⁷ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N1524, 10.10.2022წ.

2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვის, ცვლილებისა და შესრულებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია იხ. **დანართ N7**-ში.

დასკვნა

2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში ასიგნებების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 718,000 ლარი, მათ შორის, არასაცხოვრებელი შენობები – 70,000 ლარი, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი – 648,000 ათასი ლარი, რაც 440,000 ლარით ნაკლებია საბიუჯეტო განაცხადის მონაცემთან. ამასთანავე, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შესაძენად დამტკიცებული 648,000 ლარიდან მითითებული მიზნით გამოყენებულია მხოლოდ 32,928 ლარი, ანუ 5.1%. ასიგნების დანარჩენი მოცულობა გადანაწილდა გადასახდელების სხვადასხვა სახეობაში.

2.2 აქტივების მართვა-განკარგვა

2.2.1 ავტოპარკის რიცხოვნობის შესაბამობა დადგენილ ნორმებთან

კრიტერიუმი

განპიროვნებული ავტომობილი შეიძლება გააჩნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს და აგრეთვე მის მოადგილეს, თუ საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 100 ერთეულს. სამორიგეო ავტომობილის რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში – ერთი ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე, დამატებით – ერთი ავტომობილი. დაწესებულების სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, წინამდებარე წესიდან გამონაკლისების შესახებ მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისია შესაბამისი დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე (მათ შორის, ფუნქციონალური საჭიროების ავტომობილების და შესაბამისი კლასის განსაზღვრის, ხელშეკრულებით არსებული საშტატო რიცხოვნობის და კლასის ცვლილების შესახებ). სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას⁸.

გარემოება

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით ცენტრს შეიძლება გააჩნდეს სამი ერთეული განპიროვნებული და ექვსი ერთეული სამორიგეო ავტომანქანა. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ცენტრის ბალანსზე ირიცხებოდა 17 ერთეული ავტომანქანა: სამი განპიროვნებული, ოთხი მორიგე და ათი სპეცდანიშნულების. აღსანიშნავია, რომ სპეცდანიშნულების ავტომანქანების დასამტკიცებლად ცენტრს ზემოაღნიშნული სამთავრობო კომისიისთვის არ მიუმართავს.

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ მუხლი 3, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები; მუხლი 5, პუნქტი 1; მუხლი 7.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიაზე მიმართვის განუხორციელებლობისა და შესაბამისი გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში ცენტრს ბალანსზე ერიცხება 10 ერთეული სპეცდანიშნულების ავტომანქანა.

2.2.2 სხვა უწყების სახელზე**რეგისტრირებული****ავტომანქანა****კრიტერიუმი**

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა სატრანსპორტო საშუალებათა, მათი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამხმარე ტექნიკური საშუალებების რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა.⁹ ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს ცენტრის უძრავ-მომრავი ქონების აღრიცხვა, რეგისტრაცია.¹⁰

გარემოება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის ცენტრის ბალანსზე ირიცხებოდა 31 სატრანსპორტო საშუალება. მათ შორის 17 მსუბუქი და 14 მძიმე ტექნიკა. ამავე პერიოდისთვის შსს-ს მომსახურების სააგენტოში ცენტრის სახელზე რეგისტრირებული იყო 30 სატრანსპორტო საშუალება.

ბალანსზე რიცხული ავტომობილებიდან, ერთი ერთეული¹¹ ცენტრს უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, 2023 წლის 28 თებერვალს გადმოეცა სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოდან. ავტომანქანის საკუთრებაში დასარეგისტრირებლად, ცენტრს შსს-ს მომსახურების სააგენტოსთვის არ მიუმართავს და ის დღემდე რეგისტრირებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს სახელზე.

დასკვნა

ცენტრის მხრიდან შესაბამისი ქმედებების განუხორციელებლობის შედეგად, მის სარგებლობაში გადმოცემული ერთ-ერთი ავტომანქანა, შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულია სხვა უწყების სახელზე.

რეკომენდაცია N1**სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს**

აქტივების აღრიცხვის სისრულის, სიზუსტისა და არსებობის დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა საკუთარ ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაარეგისტრიროს ცენტრის სახელზე.

⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „შსს-ს მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვალის N2-51 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების“ მუხლი 6, პუნქტი 1, „ი“ ქვეპუნქტი.

¹¹ TOYOTA LANDCRUISER PRADO, სახელმწიფო N GN-070-EA.

2.2.3 საწვავის ჩამოწერასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი

კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს. კონტროლის ღონისძიებები მოიცავს წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას.¹²

გარემოება

მძიმე ტექნიკაზე საწვავი ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოების აქტების საფუძველზე, რომლებშიც მითითებულია შესრულებული სამუშაოს დასახელება, მოხმარებული საწვავის ოდენობა და ღირებულება. აქტებში არ არის მითითებული, თუ თვის რომელ დღეებსა და რომელი ტექნიკის საშუალებით შესრულდა კონკრეტული სამუშაოები. კერძოდ, ზოგიერთ აქტში¹³ მითითებულია მხოლოდ ტექნიკის დასახელება და ვერ იდენტიფიცირდება მოდელი და სარეგისტრაციო ნომერი, ზოგიერთში¹⁴ კი, სამუშაოს შემსრულებელი ტექნიკაც არ არის მითითებული.

დასკვნა

შესრულებული სამუშაოების აქტებში კონკრეტული თარიღების, მძიმე ტექნიკის მარკის, მოდელისა და სარეგისტრაციო ნომრის მიუთითებლობის გამო, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება მძიმე ტექნიკის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად გახარჯული საწვავის სიზუსტეზე.

რეკომენდაცია N2

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

მძიმე ტექნიკის საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა დაწეროს სრულყოფილი კონტროლის მექანიზმები. მიზანშეწონილია, რომ შემუშავდეს სპეციალური ფორმა, რომელშიც აისახება საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი აუცილებელი მონაცემი/რეკვიზიტი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისრულეს.

¹² „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13, პუნქტი 1 და პუნქტი 3, „ე“ ქვეპუნქტი.

¹³ წილკნის ბაზიდან წარმოდგენილი აქტები.

¹⁴ ჯილაურის ბაზიდან წარმოდგენილი აქტები.

2.2.4 სავალდებულო ინვენტარიზაციის განხორციელების ნაკლოვანება

კრიტერიუმი	მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად. ¹⁵
გარემოება	ცენტრის მიერ 2022-2023 წლების პერიოდზე ჩატარებულია ინვენტარიზაციები, თუმცა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთი 2023 წლის ბოლოსათვის შეადგენდა შესაბამისად, 352,294 და 89,886 ლარს.
დასკვნა	ცენტრში 2022-2023 წლებში არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც მიუთითებს საკანონმდებლო მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებაზე.

2.3 შრომის ანაზღაურება

2.3.1 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოები

კრიტერიუმი	საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და მის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინების საფუძველზე, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის შესაბამისი გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში. ¹⁶
გარემოება	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, 2022-2023 წლებში გაცემულ ფულად ჯილდოებთან დაკავშირებით, წარმოდგენილი არ არის ზემდგომი თანამდებობის პირების შესაბამისი წარდგინებები. ¹⁷

¹⁵ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-14 და მე-15 მუხლები.

¹⁶ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 17.

¹⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობები, ცენტრის თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოების გაცემის თაობაზე, წარმოდგენილია.

დასკვნა

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, 2022-2023 წლებში ფულადი ჯილდოების გაცემა ხორციელდებოდა ზემდგომი თანამდებობის პირების წარდგინებების გარეშე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

2.3.2 დადგენილ ნორმასთან**შესაბამო სახელფასო****კოეფიციენტი****კრიტერიუმი**

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისადმი დაქვემდებარებული/მის მიერ დაფუძნებული საჯარო დაწესებულების მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს კანონით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით, რომლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის მინიმალური სახელფასო კოეფიციენტია – 2.¹⁸ თანამდებობრივი სარგოს დასადგენად უფლებამოსილი თანამდებობის პირი ახორციელებს კოეფიციენტის შერჩევას საჯარო დაწესებულებაში არსებული კონკრეტული თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, კანონის შესაბამისი დანართის ცხრილის მიხედვით.¹⁹

გარემოება

ცენტრის დებულების შესაბამისად,²⁰ მოლეკულური მარკირების ლაბორატორია (დნმ ლაბორატორია) წარმოადგენს პირველად სტრუქტურულ ერთეულს. ცენტრის 2022 და 2023 წლების ბიუჯეტების, საშტატო ნუსხებისა და სახელფასო ფონდების დამტკიცების შესახებ ბრძანებების²¹ მიხედვით მითითებული სტრუქტურული ერთეულის უფროსის პოზიციაზე დადგენილი სახელფასო კოეფიციენტი შეადგენდა 1.4-ს, მაშინ როდესაც კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კოეფიციენტია – 2. აღნიშნულის შედეგად, 2022 წელს თანამდებობრივი სარგო ამ პოზიციაზე შეადგენდა 1,540 ლარს ლარს, ნაცვლად მინიმალური – 2,200 ლარისა; 2023 წელს – 1,694 ლარი, ნაცვლად მინიმალური – 2,420 ლარისა.²² აღსანიშნავია, რომ ცენტრში ფუნქციონირებს ოთხი ლაბორატორია, საიდანაც დანარჩენი სამი წარმოადგენს მეორად სტრუქტურულ ერთეულებს.

დასკვნა

2022 და 2023 წლებში, ცენტრის ერთ-ერთი პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის პოზიციაზე განსაზღვრული სახელფასო კოეფიციენტი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

¹⁸ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და დანართი N1-ის ცხრილი N1.

¹⁹ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 5, პუნქტი 3.

²⁰ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება N2-51-ით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების“ მუხლი 5.

²¹ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N133-დ და 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N131-დ.

²² 2022 წელს საბაზო ხელფასის ოდენობა შეადგენდა 1,100 ლარს. შესაბამისად: $1,100 \times 1,4 = 1,540$ ლარი, $1,100 \times 2 = 2,200$ ლარი. 2023 წლის საბაზო ხელფასი - 1,210 ლარი. შესაბამისად: $1,210 \times 1,4 = 1,694$ ლარი, $1,210 \times 2 = 2,420$ ლარი.

2.3.3 შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმება საშტატო პოზიციებზე

კრიტერიუმი

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული წარმოადგენს პირს, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.²³ საჯარო დაწესებულებაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას, თუ მათი ოდენობა აჭარბებს კანონით დადგენილ რიცხოვნობას.²⁴

გარემოება

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N67 და 2023 წლის 27 თებერვლის N405 განკარგულებების²⁵ საფუძველზე, დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა ცენტრში განისაზღვრა შემდეგნაირად: 2022 წელს – 219 ერთეული და 2023 წელს – 240 ერთეული.²⁶ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულებების საფუძველზე, პირები ასრულებდნენ ისეთ საქმიანობას, რაც უშუალოდ ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საშტატო პოზიციებთან არის დაკავშირებული. კერძოდ: სპეციალისტები, მათ შორის, შესყიდვების სპეციალისტი, ბუღალტრები და რისკების შემფასებლები. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია ხანგრძლივი პერიოდით, მათ შორის, სრული ორი წლითაც,²⁷ რაც მიუთითებს მათ დასაქმებაზე ცენტრის მუდმივი ამოცანების და არა დამხმარე ან/და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებების პროექტებზე მომზადებული განმარტებითი ბარათების მიხედვით, საშტატო ნუსხით განსაზღვრული საშტატო რაოდენობები საკმარისი არ არის ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად და საჭიროა დამატებითი პერსონალის აყვანა.

დასკვნა

ზოგიერთ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პირები დასაქმებული იყვნენ ხანგრძლივი პერიოდით, მათ შორის, სრული ორი წლით

²³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3, „ვ“ ქვეპუნქტი.

²⁴ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების 25-ე მუხლები.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ნოემბრის N1987 განკარგულების გათვალისწინებით (ცვლილება N405 განკარგულებაში).

²⁶ შესადარებლად: 2020 და 2021 წლებში განსაზღვრული იყო 219 ერთეული.

²⁷ 2022-2023 წლები (აუდირებული პერიოდი).

და შტატით განსაზღვრულ პოზიციებზე, რაც მიუთითებს მათ დასაქმებაზე ცენტრის მუდმივი ამოცანების და არა დამხმარე ან/და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. ამასთანავე, წლების განმავლობაში სამშატო პოზიციებზე დამატებითი პესრონალის აყვანის მოთხოვნები აგრეთვე მიუთითებს დაწესებულებაში სამშატო ნუსხების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე.

რეკომენდაცია N3

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

შტატით გათვალისწინებულ პოზიციებზე შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმების თავიდან არიდების მიზნით, აუცილებლობით გამოწვეული გარემოებების გარდა, განხორციელდეს სამშატო რიცხოვნობის ოპტიმიზაცია, შესაბამის პოზიციებთან მიმართებით.

2.3.4 შრომითი

ხელშეკრულებით

დადგენილი

ვალდებულებების

შესრულების

დამადასტურებელი

დოკუმენტაციის

წარმოდგენლობა

კრიტერიუმი

შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა.²⁸ კონტროლის ღონისძიებები მოიცავს ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრებას.²⁹

გარემოება

ერთ-ერთ დასაქმებულთან 2022 და 2023 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების³⁰ მიხედვით, მის ვალდებულებებს წარმოადგენდა:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტის და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ უძრავი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის პროცესის გაანალიზება;
- ცენტრის მოძრავი ქონების აღრიცხვისა და ელექტრონული საინფორმაციო ბაზების (რეესტრის) წარმოების პროცესის გაანალიზება;
- ცენტრის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი და ჩამოწერას დაქვემდებარებული მატერიალური ფასეულობების და მათი ჩამოწერის შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების შემდგომი განკარგვის პროცესის გაანალიზება;
- ცენტრის ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის პროცესის გაანალიზება;
- ცენტრის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების, მოძრავი მექანიზმების, აგრეგატებისა და სხვა მოწყობილობების ექსპლუატაციის და მათ მოვლა-შენახვაზე განხორციელებული დანახარჯების აღრიცხვის პროცესის გაანალიზება;

²⁸ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 14, პუნქტი 1, „ე“ ქვეპუნქტი.

²⁹ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი.

³⁰ 2021 წლის 31 დეკემბრის N22-125 და 2022 წლის 30 დეკემბრის N23-108 შრომითი ხელშეკრულებები.

- ცენტრის მიერ ბიუჯეტის შედგენის და საბიუჯეტო თანხების ხარჯვის პროცესის გაანალიზება.

ზემოაღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით ხელშეკრულების მიხედვით, დასაქმებულს ევალებოდა შესაბამისი დასკვნების მომზადება ცენტრის ხელმძღვანელობისთვის, რაც ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ ერთ-ერთ პირთან მიმართებით, ვერ იქნა წარმოდგენილი მასზე დაკისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული შესაბამისი დასკვნები, რომელთა შედგენა და ცენტრის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა ევალებოდა დასაქმებულს.

2.4 სახელმწიფო

შესყიდვები

2.4.1 საავანსო გარანტიის

წარმოუდგენლობა

კრიტერიუმი

წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია.³¹ წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს.³² დაუშვებელია წინასწარი ანგარიშსწორება წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი წარდგენისაგან გათავისუფლების საფუძველები.³³

გარემოება

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „ჯორჯიან ექსპრესთან“ გაფორმებული ხელშეკრულების³⁴ ფარგლებში განხორციელებულია წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო თანხის მთლიან ღირებულებაზე – 1,195 ლარი, რაზედაც არ არის წარმოდგენილი წინასწარ გადახდილი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია. ამასთანავე, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს და აგრეთვე არ არსებობდა მისი წარდგენისაგან გათავისუფლების საფუძველები.³⁵

დასკვნა

ტვირთის გადაზიდვის მომსახურების ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა წინასწარ ანგარიშსწორებას. აღნიშნულის მიუხედავად, ცენტრის მიერ განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდა და ამასთანავე, მომწოდებელზე მოთხოვნილი არ ყოფილა კანონმდებლობით დადგენილი - წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის წარმოდგენა.

³¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21¹, პუნქტი 1.

³² სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მუხლი 10, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი.

³³ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მუხლი 12, პუნქტი 7.

³⁴ CMR230155078 - საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება; ხელშეკრულება N205309655 (N229), 01.12.2023წ. - 1,195 ლარი.

³⁵ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შესრულდა.

კრიტიკუმი

წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია.³⁶ წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას.³⁷ ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.³⁸

გარემოება 1

2022 წლის 9 ნოემბერს გამოცხადდა 456,900 ლარის სავარაუდო ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის ტენდერი,³⁹ ქვეყნის მასშტაბით ოთხ სხვადასხვა ადგილზე ერთობლივად, რომელთა დასრულების პერიოდი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი,⁴⁰ რომელსაც ხელშეკრულების გაფორმების⁴¹ შემდეგ, სამუშაოების შესრულების პერიოდი გაუხანგრძლივდა 70 დღით.⁴² სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევისთან ერთად, ხელშეკრულების მოქმედება, რომელიც შეადგენდა 2023 წლის 1 ივნისამდე პერიოდს, გახანგრძლივდა 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებულია 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორება, რაზედაც წარმოდგენილი საბანკო გარანტია მოქმედებდა 2023 წლის 2 ივლისამდე. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების პირობებში, ახალი ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა არ ყოფილა მოთხოვნილი.⁴³ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელებულია 2023 წლის 20 მარტის შეთანხმებით. აღნიშნული პერიოდისთვის საერთოდ არ ფიქსირდებოდა სამუშაოების შესრულება. პირველი მიღება-ჩაბარების აქტი – 229,626 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, გაფორმებულია 2023 წლის 23 მარტს.⁴⁴

გარემოება 2

2023 წლის 3 ნოემბერს გამოცხადდა 398,000 ლარის სავარაუდო ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის ტენდერი,⁴⁵ ქვეყნის

³⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21¹, პუნქტი 1.

³⁷ ელექტრონული ტენდერების - NAT220023015 და NAT230022041 სატენდერო დოკუმენტაციის პუნქტი 7.1.1.

³⁸ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6, პუნქტი 3.

³⁹ NAT220023015 - ჩხორწყის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯილაურაში მდებარე შენობის წყალმომარაგებისათვის წყალშემკრები სადგურის სამშენებლო სამუშაოები, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაკლიაში მდებარე ფერმის სარეკონსტრუქციო/სამშენებლო სამუშაოები და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, ბუღების სანაშენე ფერმის ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

⁴⁰ შპს „მარდი“.

⁴¹ ხელშეკრულება N210, 22.12.2022წ. - 443,600 ლარი.

⁴² მშენებლობის ზედამხედველის 2023 წლის 16 მარტის N589-04 მოხსენებითი ბარათი მშენებლობის ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობასა და მეცხოველეობა-საკვებწარმოების კვლევისა და სანაშენე საქმის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 28 თებერვლის N446-04 მოხსენებითი ბარათი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობაზე.

⁴³ სამუშაოების შესრულების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის (17.05.2023წ.) მიხედვით, სამუშაოები შესრულდა ვადებში. სამუშაოები დადასტურებულია აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაცია შპს „პონტიკას“ მიერ ინსპექტირების ანგარიშები N F2-2775, 22.03.2023 და N F2-2876/15, 05.2023.

⁴⁴ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ შემსრულებელმა დაასრულა სამუშაოების პირველი ეტაპი, რაზედაც 2023 წლის 22 მარტს წარმოადგინა შესაბამისი ფორმა N2-ები.

⁴⁵ NAT230022041 - ჩხორწყის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის სელექციის დასახლებასა და სოფელ ჯილაურაში მდებარე შენობების სამშენებლო სამუშაოები, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაკლიაში მდებარე ფერმის სარეკონსტრუქციო/სამშენებლო სამუშაოები და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, ბუღების სანაშენე ფერმის ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მასშტაბით ოთხ სხვადასხვა ადგილზე ერთობლივად, რომელთა დასრულების პერიოდი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან⁴⁶ ორი თვე. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი,⁴⁷ რომელსაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ,⁴⁸ მისივე წერილობითი თხოვნების⁴⁹ საფუძველზე, სამუშაოების შესრულების პერიოდი გაუხანგრძლივდა 60 დღით და ნაცვლად 2024 წლის 27 თებერვლისა, განისაზღვრა 2024 წლის 27 აპრილი. ცენტრის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი წერილებში მოყვანილი მიზეზების შესწავლის ან/და მათი ობიექტურობის განსაზღვრის დოკუმენტური მტკიცებულებები. აღნიშნულ შესყიდვაშიც გამოყენებულია 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორება. ხელშეკრულება მოქმედებდა 2024 წლის 1 აგვისტომდე, წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია – 2024 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი. შესაბამისად, წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით არ აღემატებოდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდს.⁵⁰

დასკვნა

456,900 ლარის სავარაუდო ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

394,100 ლარის ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების ვადა გახანგრძლივდა 60 დღით, რასთან დაკავშირებითაც აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული სამუშაოების შესრულების ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების შესწავლისა და ობიექტურობის განსაზღვრის დოკუმენტური მტკიცებულებები. ამასთანავე, წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების პერიოდი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნას.

2.4.2 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დაუდასტურებლობა

კრიტერიუმი

სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების გათვალისწინების შემთხვევაში სატენდერო კომისია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას, თუ მის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტი ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.⁵¹

⁴⁶ ხელშეკრულება N245, 27.12.2023წ. – 394,100 ლარი.

⁴⁷ შპს „მარდი“.

⁴⁸ 2024 წლის 28 თებერვლის შეთანხმება N1.

⁴⁹ შპს „მარდის“ 2024 წლის 19 თებერვლისა და ამავე წლის 27 თებერვლის წერილები.

⁵⁰ 2024 წლის 20 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, სამუშაოები დასრულებულია ვადებში. შესრულებული სამუშაოები დადასტურებულია აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაცია შპს „პონტიკას“ მიერ - ინსპექტირების ანგარიში N F2-4472, 26.04.2024.

⁵¹ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 18, პუნქტი 6.

გარემოება

ცხოველის საკვების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის,⁵² სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება.⁵³ გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 8,750 ლარს. ტენდერში გამარჯვებული პირის⁵⁴ მიერ შეთავაზებულია 6,996 ლარი, რაც 20.08%-ით ნაკლებია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე. სატენდერო კომისიის მიერ არ არის მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება.⁵⁵

დასკვნა

ცხოველის საკვების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში არ არის მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება, რაც მიუთითებს სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე.

2.4.3 შესყიდვის**წინამოსამზადებელი****სამუშაოების, მათ შორის,****სავარაუდო ღირებულების****განსაზღვრის****ნაკლოვანებები****კრიტერიუმი**

კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.⁵⁶ ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, რომელიც ტარდება სავარაუდო ღირებულების დაზუსტების/დადგენის მიზნით.⁵⁷

გარემოება 1

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2023 წლის 17 მაისს გაფორმებულია ხელშეკრულება ჰიდროპონიკური მოწყობილობების შესყიდვაზე,⁵⁸ ღირებულებით – 212,000 ლარი.⁵⁹ აღსანიშნავია, რომ მითითებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ჩატარებული ორი ტენდერი არ შედგა,⁶⁰ მათ შორის, პირველი გამოცხადებულია 2022 წლის 29 ივლისს. მესამე ტენდერი, რომელიც გამოცხადდა 2023 წლის 13 თებერვალს, შეწყდა შემსყიდველის გადაწყვეტილებით. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის⁶¹ მიხედვით, შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ტექნიკურ დავალებაში გამორჩენილი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწყობილობა და საშუალება, რომელთა გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელს გახდიდა სათბურის ნორმალურ ფუნქციონირებას. ფაქტობრივად, პირველი ტენდერის

⁵² NAT220007799. ხელშეკრულება N75, 16.05.2022წ. - 6,993 ლარი.

⁵³ სატენდერო დოკუმენტაციის პუნქტი 4.1.1.

⁵⁴ ფ/3 ვალერი კიკნაძე.

⁵⁵ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება საქონლის მიწოდებაზე - შესრულებულია.

⁵⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁷ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მუხლი 4, პუნქტი 6.

⁵⁸ ხელშეკრულება N1.6 - მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების - ჰიდროპონიკური ტექნოლოგიის და მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა/შემუშავება და დაინტერესებული პირებისათვის სასწავლო-სადემონსტრაციო ტრენინგების ჩატარებისათვის ჰიდროპონიკური მოწყობილობების შესყიდვა, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი).

⁵⁹ CMR230075765; მიმწოდებელი - შპს „ლეგა“.

⁶⁰ NAT220014933 - 207,000 ლარი და NAT220017100 - 207,000 ლარი.

⁶¹ 2023 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი N2.

გამოცხადებიდან 200 დღის განმავლობაში ვერ გამოვლინდა, შესყიდვის ობიექტის მახასიათებლებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარვეზი.

გარემოება 2

ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვით მომსახურების შესყიდვაზე ხელმეორედ გამოცხადებულ ტენდერში,⁶² მომსახურების მოცულობის შემცირების პირობებში, გაზრდილია შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.

ცხრილი N1. მომსახურების მოცულობები

ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მომსახურების დასახელება	ავტომობილების რეცხვის/ქიმწმენდის სავარაუდო რაოდენობა (ჯერადობა)	
	NAT230025240	NAT240002000
2 ერთეული „სედანის“ ტიპის ავტომობილის რეცხვის მომსახურება (2 ერთეული „ფორდ ფიესტა“)	60	40
10 ერთეული „ჯიპის“ ტიპის ავტომობილის რეცხვის მომსახურება (4 ერთეული „ტოიოტა ჰაილუქსი“, 3 ერთეული „მიცუბიში L200“, 1 - „ტოიოტა პრადო“, 1 - „ტერალორდი“, 1 „გრეატ ვოლი“)	150	100
3 ერთეული მიკროავტობუსის ტიპის ავტომობილის რეცხვის მომსახურება (2 ერთეული „ჰიუნდაი H1“, 1 - „ვოლკსვაგენი“)	50	40
ავტომობილების ქიმწმენდის მომსახურება (2 - „სედანის“ ტიპის, „ფორდ ფიესტა“; 2 - მინივნი „ჰიუნდაი H1“)	4	0
ავტომობილების ქიმწმენდის მომსახურება (2 - „სედანის“ ტიპის, 1 - „ჯიპი“, 9 - „პიკაპი“, 3 - მიკროავტობუსი)	0	5
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (ლარი)	6,500	8,980
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.12.2023 წ.	31.01.2024 წ.

გარემოება 3

მნიშვნელოვანი განსხვავებაა შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების მომსახურებაზე 2023 წლის 11 დეკემბერს არშემდგარი ტენდერისა⁶³ და 2023 წლის 13 დეკემბერს ხელმეორედ გამოცხადებული ტენდერის⁶⁴ სავარაუდო ღირებულებებს შორის. კერძოდ, პირველ შემთხვევაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 70,000 ლარს, მეორე შემთხვევაში – 90,000 ლარს. ამასთანავე, სხვა პირობები ორივე შემთხვევაში ანალოგიურია.

გარემოება 4

სხვადასხვა სახის ლაბორატორიული ავეჯის შესყიდვაზე, 2022 წლის 6 ივნისს გამოცხადებული ტენდერის⁶⁵ სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 550,000 ლარს. ტენდერი შეწყვეტილია და 2023 წლის 21 მარტს ხელმეორედ გამოცხადებულ ტენდერში,⁶⁶ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 380,000 ლარი. ტენდერში გამარჯვებულის⁶⁷ შეთავაზება შეადგენდა 329,500 ლარს. აღნიშნულ ტენდერებთან დაკავშირებული ბაზრის კვლევისა და ტენდერების შედეგების მიხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებები

⁶² პირველი ტენდერი - NAT230025240 (არ შედგა), მე-2 ტენდერი - NAT240002000.

⁶³ NAT230024645.

⁶⁴ NAT230025963.

⁶⁵ NAT220010814.

⁶⁶ NAT230006320.

⁶⁷ შპს „სოლემარტი“.

ფიქსირდება შესასყიდ საქონელთან მიმართებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბაზრის კვლევის მონაცემები და კვლევაში მონაწილე პირების შეთავაზებები გამოცხადებულ ტენდერებში.

ცხრილი N2. ფასთა სხვაობები

კომპანია	NAT220010814 (შეწვეტილი)		NAT230006320 (შემდგარი)	
	ბაზრის კვლევით	შეთავაზება ტენდერში	ბაზრის კვლევით	შეთავაზება ტენდერში
შპს „გეომედხეი“	550,550	-	550,550	251,600
შპს „ორიენტი“	580,560	-	-	-
შპს „სტარტი“	600,185	-	-	-
შპს „პი ემ ჯი“	-	-	409,000	237,800
შპს „სოლემარტი“	-	277,000	380,000	329,500

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პირველ ტენდერში მინიმალური შეთავაზება შეადგენდა 277,000 ლარს, უმაღლესი - 377,720 ლარს.⁶⁸ მეორე ტენდერში უმცირესი შეთავაზება - 237,800 ლარია, უმაღლესი - 350,000 ლარი.⁶⁹

გარემოება 5

2022 წლის 9 ნოემბერს და 2023 წლის 3 ნოემბერს სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერების⁷⁰ სავარაუდო ღირებულებები განსაზღვრულია ცენტრის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით, რომელთა მიხედვით: პირველ შემთხვევაში მთლიანი სამუშაოები განფასებულია 468,922 ლარად, მეორეში – 446,061 ლარად. პირველი ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 456,900 ლარი, მეორის სავარაუდო ღირებულებად – 398,000 ლარი. აღსანიშნავია, რომ სატენდერო კომისიის სხდომების ოქმებში⁷¹ მითითებულია, რომ სავარაუდო ღირებულებებზე განისაზღვრა საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დადგენილი თანხები, თუმცა აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვებითა და ოქმებით განსაზღვრული ღირებულებები ურთიერთშეუსაბამოა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, არმატურის ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება ა(ა)იპ – მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოქვეყნებულ სახარჯთაღრიცხვო, სამშენებლო რესურსების ფასებთან. კერძოდ, 2022 წლის IV კვარტლის ფასებით, არმატურის მაქსიმალური ღირებულება ერთ ტონასთან მიმართებით შეადგენდა, დაახლოებით, 2,150 ლარს, 2023 წლის IV კვარტლის ფასებით – 2,000 ლარს. ცენტრის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით კი, პირველი ტენდერის შემთხვევაში არმატურა ძირითადად განფასებულია – 2,800 ლარად,⁷² მეორე შემთხვევაში – 2,700 ლარად.⁷³

დასკვნა

207,000 ლარის ღირებულების ჰიდროპონიკური მოწყობილობების შესყიდვაზე ჩატარებული ორი ტენდერი არ შედგა, მესამე კი შეწყდა შესყიდვის ობიექტთან

⁶⁸ მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი.

⁶⁹ მონაწილეობდა 9 პრეტენდენტი. გამარჯვებულია რიგით მე-8 პრეტენდენტი. წინა 7 პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო.

⁷⁰ NAT220023015 და NAT230022041.

⁷¹ N1 ოქმები.

⁷² 14 პოზიციიდან: 12 - 2,800 ლარი, ერთი - 2,750 ლარი და ერთი - 1,408 ლარი.

⁷³ ოთხი პოზიციიდან: სამი - 2,700 ლარი და ერთი - 2,000 ლარი.

დაკავშირებით შედგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, რაც ცენტრის მხრიდან შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს;

ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვით მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულებით გამოცხადებულ ტენდერში, იმის მიუხედავად, რომ შემცირდა მომსახურების მოცულობა, გაიზარდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რაც მიუთითებს შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოებისა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე;

შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულებით გამოცხადებულ ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაზრდილია 20,000 ლარით, რაც ასევე მიუთითებს ანალოგიურ ნაკლოვანებებზე;

ლაბორატორიული ავეჯის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება, როგორც ბაზრის კვლევით განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებებში, ისე ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების შეთავაზებებში. კერძოდ, პირველი ტენდერის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 550,000 ლარს, მეორე ტენდერისა – 380,000 ლარს. პირველ ტენდერში შეთავაზებული უმცირესი ფასია 277,000 ლარი, უმაღლესი – 377,720 ლარი. მეორე ტენდერში უმცირესი ფასი შეადგენდა 237,800 ლარს, უმაღლესი – 350,000 ლარს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ნაკლოვანებებზე;

სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებულ ორ ტენდერში სავარაუდო ღირებულებების განმსაზღვრელი ხარჯთაღრიცხვებით, რიგ შემთხვევებში არმატურის ფასი მნიშვნელოვნად აღემატება ა(ა)იპ – მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოქვეყნებულ სამშენებლო რესურსების სახარჯთაღრიცხვო ფასებს. ამასთანავე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები განსხვავდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის მართლზომიერებაზე.

2.4.4 სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის ნაკლოვანებები და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა

კრიტერიუმი

პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით.⁷⁴

⁷⁴ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 18, პუნქტი 3.

გარემოება

ცენტრის ბალანსზე რიცხულ ნაკვეთებზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების, საერთო ჯამში 93,400 ლარის სავარაუდო ღირებულების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის⁷⁵ პირობებით, პრეტენდენტების მიმართ განსაზღვრული არ იყო მოთხოვნები, რითაც დადასტურდებოდა მათი შესაძლებლობები გასაწევ მომსახურებასთან მიმართებით.⁷⁶

დასკვნა

93,400 ლარის სავარაუდო ღირებულების, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერით განსაზღვრული არ ყოფილა შესაბამისი მოთხოვნები, პრეტენდენტთა შესაძლებლობების დადგენის თვალსაზრისით. სპეციფიკურ მომსახურებებთან მიმართებით ასეთი მოთხოვნების განუსაზღვრელობა იძლევა ტენდერებში არაკომპეტენტური პირების მონაწილეობის შესაძლებლობას. მათი გამარჯვების შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა კი, თავის მხრივ, განაპირობებს შესყიდვების დროში გაჭიანურებას.

კრიტიკუმი

სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ხარისხის და აგრეთვე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნების შესახებ.⁷⁷

გარემოება

2022 წლის 19 სექტემბერს და 2023 წლის 27 თებერვალს გამოცხადებულია ტენდერები⁷⁸ – 14,000 ლარისა და 48,000 ლარის სავარაუდო ღირებულებების შინაური ცხოველების საკვების⁷⁹ შესყიდვაზე. შესასყიდი საქონლის ტექნიკური პარამეტრები მოიცავდა ისეთ სპეციფიკაციებს, როგორებიცაა, პროტეინი, უჯრედანა, ლიზინი, კალციუმი, ფოსფორი, ანტიმიკოტოქსინები და სხვ. ამასთანავე, მითითებული იყო ამ სპეციფიკაციების პროცენტული მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ არ იყო დადგენილი არანაირი პირობა/დათქმა, თუ რა დოკუმენტაციის ან/და ვალიდური ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაედასტურებინათ პრეტენდენტებს, მათ მიერ შეთავაზებული პროდუქციის შესაბამისობა. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია ფასების ცხრილის წარმოდგენა, რომელშიც მისათითებელი იყო ტექნიკური მახასიათებლები, თუმცა მხოლოდ ამ ინფორმაციის საფუძველზე, სატენდერო კომისიის მიერ ვერ განხორციელდებოდა, შემოთავაზებული პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრა დადგენილ პარამეტრებთან მიმართებით. ტენდერებში გამარჯვებული პირის⁸⁰ მიერაც, სატენდერო პირობების შესაბამისად შევსებული ფასების ცხრილის გარდა, სხვა ვალიდური დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

⁷⁵ NAT220005252.

⁷⁶ ტენდერში გამარჯვებულია მასში მონაწილე ერთადერთი იურიდიული პირი - შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, გამარჯვებულ პირს ვალდებულებები შესრულებული აქვს.

⁷⁷ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 17, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁷⁸ 2022წ. - NAT220019186 და 2023წ. - NAT230004507.

⁷⁹ NAT230004507-ის (48,000 ლარი) ფარგლებში: გოჭის პრესტარტური - 6,000 კგ; კომბინირებული საკვები ღედადორებისთვის ლაქტაციის პერიოდში - 6,000 კგ; ბურვაკის კომბინირებული საკვები - 13,000 კგ; საკვები დანამატი ფრინველისთვის - 300 კგ; საკვები დანამატი ღორისთვის - 1,500 კგ; საკვები დანამატი მსხვილფეხა პირუტყვისთვის - 1,000 კგ; ძაღლის საკვები - 180 კგ. - 14,000 ლარი; NAT220019186-ის (14,000 ლარი) ფარგლებში: ბურვაკის საკვები - 8,100 კგ.

⁸⁰ ტენდერის ერთადერთი მონაწილე - შპს „რალუგა“.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პირველი ტენდერის შემთხვევაში, ერთ-ერთი საკვების⁸¹ გრანულის ზომად განსაზღვრულია ზუსტად 3.5 მმ, მეორე ტენდერის დროს კი, ამავე საკვების გრანულების ზომები დიფერენცირებულია 3.5-5 მმ-ის დიაპაზონში. მეორე ტენდერის შემთხვევაშიც, ერთ-ერთი საკვების⁸² გრანულის ზომად განსაზღვრულია ზუსტი პარამეტრი - 2.2 მმ. აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ მივიღეთ შესაბამისი რწმუნება თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო თუნდაც მცირედი გადახრის გაუთვალისწინებლობა.

დასკვნა

62,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, სპეციფიკური მახასიათებლების მქონე შინაური ცხოველების საკვების შესყიდვების პროცესში განსაზღვრული არ იყო, რა დოკუმენტაციის ან/და ვალიდური ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაედგინებინათ პრეტენდენტებს, მათ მიერ შეთავაზებული პროდუქციის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით. შედეგად, სატენდერო კომისიის მიერ ვერ განხორციელდებოდა შემოთავაზებული პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრა დადგენილ პარამეტრებთან მიმართებით. აღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობა კი წარმოქმნის, მოთხოვნილ ხარისხთან შეუსაბამო პროდუქციის მიღების შესაძლებლობის რისკებს.

კრიტიკუმი

ISO 9000-ის კატეგორია (მათ შორის, სტანდარტი ISO 9001) ადგენს ნორმებს საწარმოში მიმდინარე მართვის პროცესების ხარისხთან დაკავშირებით. კონკრეტულად, ISO 9001 განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საწარმოში დანერგილმა პროცესებზე ორიენტირებულმა ხარისხის მართვის სისტემამ ისეთი ფუნქციების/ბიზნესპროცესების ფარგლებში, როგორებიცაა, მაგალითად, საწარმოს მენეჯმენტის პასუხისმგებლობა, რესურსების მართვა, რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცესების მართვა, ანალიზი და გაუმჯობესების გზები. ამასთანავე, სერტიფიცირების ფარგლებში ხორციელდება გარკვეული პერიოდისათვის დაგეგმილი ქმედებებისა და მიზნების ფაქტობრივ შედეგებთან შედარება. შეუსაბამობის შემთხვევაში, იდენტიფიცირდება გაუმჯობესების პოტენციალი, იგეგმება პროცესების ხარისხის გაუმჯობესების გზები და კონკრეტული ნაბიჯები. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ISO 9001 სერტიფიკატის მფლობელობა არ ნიშნავს, რომ აღნიშნული კომპანია აუცილებლად მიაწვდის შემსყიდველ ორგანიზაციას „ხარისხიან“ საქონელს.⁸³

პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის განმეორებით დაზუსტება.⁸⁴ სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს მას გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადას. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.⁸⁵

⁸¹ ბურვაკის საკვები.

⁸² ღორის კომბინირებული საკვები - გოჭის პრესტარტერი.

⁸³ მეთოდური მითითებები სახელმწიფო სახელმწიფო შესყიდვებში სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით: პუნქტი 5, ტიპური შეცდომები და სწორი პრაქტიკა.

⁸⁴ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 27, პუნქტი 9 და მუხლი 32, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 27, პუნქტი 5.

გარემოება

34,500 ლარის სავარაუდო ღირებულების 15 დასახელების მოლეკულური კვლევის რეაგენტების⁸⁶ შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის⁸⁷ პირობების მიხედვით, პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ მწარმოებელი კომპანიების ISO 9001 სერტიფიკატები. მოთხოვნილი სტანდარტი ადგენს ნორმებს საწარმოში მიმდინარე მართვის პროცესების ხარისხთან დაკავშირებით და არ განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის ხარისხს.

ამასთანავე, ტექნიკური დავალების შესაბამისად, პიპეტირების წვერებსა და PCR ფლეითზე⁸⁸ მოთხოვნილია EUR.1 სერტიფიკატები.⁸⁹ ტენდერში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის⁹⁰ მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში მითითებულია, რომ აღნიშნულ პროდუქციას გააჩნია შესაბამისი სერტიფიკატები, თუმცა დოკუმენტური მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. სატენდერო კომისიის მიერ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად და მასთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.⁹¹ აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ პრეტენდენტისადმი გაგზავნილი დაზუსტების მოთხოვნის წერილი ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს დასაზუსტებელი პოზიციების ზუსტ მითითებას.⁹²

დასკვნა

34,500 ლარის სავარაუდო ღირებულების 15 დასახელების მოლეკულური კვლევის რეაგენტების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერით განსაზღვრული პირობებიდან გამომდინარე, გამარჯვებული პირი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას. ამასთანავე, მიზანშეწონილი იყო, რომ პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების მართვის ხარისხთან დაკავშირებული სერტიფიკატის ნაცვლად, ან/და მასთან ერთად, მოთხოვნილი ყოფილიყო მოსაწოდებელი პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის ნაკლოვანებებსა და სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე.

კრიტერიუმი

იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.⁹³

გარემოება

ცენტრის ბალანსზე რიცხული შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების, 30,000 ლარის

⁸⁶ MLST რეაგენტები (ლაბორატორიული რეაქტივები).

⁸⁷ NAT220011380.

⁸⁸ ტექნიკური დავალების მე-10 - მე-13 პოზიციები.

⁸⁹ წარმომომის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

⁹⁰ შპს „ტრეზორი“ (31.10.2022-დან - შპს „ტრეზორი“, შპს „მოლეკულური მედიცინის კვლევითი ცენტრი - „პრაიმექსი“).

⁹¹ N1.16, 08.07.2022წ., სახელმეკრულებო ღირებულება - 31,716 ლარი.

⁹² 2022 წლის 28 ივნისის N04/903 წერილში ზოგადად მითითებულია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია და საჭიროებს დაზუსტებას.

⁹³ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 27, მე-2 და მე-3 პუნქტები.

სავარაუდო ღირებულების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის⁹⁴ ტექნიკური მოთხოვნებით დადგინდა, რომ პრეტენდენტებს უნდა ჰქონოდათ სამწლიანი გამოცდილება ანალოგიურ სფეროში. ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მისი გამოცდილება დასტურდებოდა ორწლიან პერიოდზე.⁹⁵ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად⁹⁶ ისე, რომ მითითებულ შეუსაბამობასთან დაკავშირებით დაზუსტება არ მოუთხოვია.

დასკვნა

30,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობილობების შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად ისე, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილ პირობას, რაც მიუთითებს სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებებზე.

კრიტიკუმი

იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.⁹⁷ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რაც ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის.⁹⁸

გარემოება

ცენტრის ბალანსზე რიცხული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების,⁹⁹ 10,000 ლარის სავარაუდო ღირებულების,¹⁰⁰ ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე 2022 წელს გამოცხადებული ტენდერის¹⁰¹ ტექნიკური მოთხოვნებით განისაზღვრა, რომ პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა ჰქონოდა, მინიმუმ, ერთი ავტოსერვისცენტრი ქალაქ თბილისში. ტენდერში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის¹⁰² მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოსერვისცენტრი მდებარეობდა გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში. ამასთანავე მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტს 2019, 2020 და 2021 წლებში, ყოველ წელს, სახელმწიფო დაწესებულებებთან გაფორმებული უნდა ჰქონოდა, მინიმუმ, ერთი ხელშეკრულება. პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაციის მიხედვით, მომსახურება გაწეულია შპს „თბილისერვის ჯგუფთან“, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებას. არსებული შეუსაბამობების მიუხედავად, პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად და მასთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.¹⁰³

⁹⁴ NAT220001617.

⁹⁵ 2021 წლის 6 იანვრის N10/02/30/8 ხელშეკრულების ფარგლებში გამოცდილება დასტურდება 2021 წლის თებერვალი - 2022 წლის იანვრის პერიოდზე (NAT200019000) და 2019 წლის 22 აპრილის Nს-043 ხელშეკრულების ფარგლებში - 2019 წლის აპრილი-დეკემბრის პერიოდზე (SPA190001741).

⁹⁶ ხელშეკრულება N22, 21.02.2022წ., სახელშეკრულებო ღირებულება - 30,000 ლარი.

⁹⁷ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „უელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 27, პუნქტი 2.

⁹⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13.

⁹⁹ RENAULT KERAX 269-90.

¹⁰⁰ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება - 24,999.13 ლარი.

¹⁰¹ NAT220003926.

¹⁰² შპს „პრემიერ მოტორსი“.

¹⁰³ ხელშეკრულება N45, 29.03.2022წ. - 10,000 ლარი; პრეისკურანტის ღირებულება - 24,999.13 ლარი.

აღსანიშნავია, რომ თუ არსებით დაბრკოლებას არ წარმოადგენდა თბილისის მახლობლად მდებარე ტერიტორიებზე ასეთი მომსახურების გაწევა და აგრეთვე, არა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებული გამოცდილების მქონე პრეტენდენტების მონაწილეობა, მიზანშეწონილი იყო, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული ყოფილიყო შესაბამისი მოთხოვნები. მითითებული ფაქტორების გათვალისწინებით შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია, თავის მხრივ, განაპირობებდა კონკურენტული გარემოს გაზრდას.

დასკვნა

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების, 10,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, ტექნიკურ მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში, ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად. ამასთანავე, ვლინდება სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის ხარვეზები. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებებზე.

კრიტერიუმი

კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.¹⁰⁴ დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიციების რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.¹⁰⁵

გარემოება

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, 2023 წელს გამოცხადებული სამი ტენდერის¹⁰⁶ ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ფასები, რიგ იდენტურ მომსახურებაზე, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მითითებული შესყიდვებიდან ორ შემთხვევაში¹⁰⁷ სავარაუდო და პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული ღირებულებები იდენტურია, ერთში – ღირებულება შემცირებულია მცირედით,¹⁰⁸ რაც მიუთითებს, რომ სავარაუდო ღირებულებები დადგენილია, პრეტენდენტების მიერ შეთავაზებული ფასების დონეზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ტენდერში¹⁰⁹ გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთ პოზიციაზე¹¹⁰ არ იყო სწორი გაანგარიშება და ფაქტობრივად განუფასებელი პოზიცია შეადგენდა 8.42%-ს, განსაფასებელ პოზიციებთან მიმართებით.¹¹¹ აღნიშნულის მიუხედავად, სატენდერო კომისიას არ მოუხდენია მისი დისკვალიფიკაცია და ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნის და წარმოდგენის შემდგომ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

¹⁰⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2, „ა“ ქვეპუნქტი და მუხლი 7, პუნქტი 2^o.

¹⁰⁵ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 27, პუნქტი 3.

¹⁰⁶ NAT230007691 - 05.04.2023წ.; NAT230008398 - 13.04.2023წ.; NAT230009222 - 27.04.2023წ.

¹⁰⁷ NAT230007691 და NAT230009222.

¹⁰⁸ NAT230008398: სავარაუდო ღირებულება - 26,234 ლარი, შეთავაზებული ღირებულება - 25,744 ლარი.

¹⁰⁹ NAT230009222 - 27.04.2023წ.

¹¹⁰ კარტოფილის რიგთაშორისი დამუშავება ფრეზით ბადოს წარმოქმნით (x2) 3 ჰა-ზე.

¹¹¹ ჯამური ღირებულება - 14,250 ლარი. სწორად გაფასებული პოზიციები - 13,050 ლარი. შესაბამისად, $(14,250 - 13,050) / 14,250 * 100 = 8,42$ ლარი.

ცხრილი N3. იდენტური მომსახურების ფასების შედარება 1 ჰექტარზე

მომსახურების დასახელება ¹¹²	ტენდერი 1 05.04.2023	ტენდერი 2 13.04.2023	ტენდერი 3 27.04.2023	სხვაობა (1-2)	სხვაობა (1-3)	სხვაობა (2-3)
ჰერბიციდის და მკვებავების შეტანა	51.60	100.00	80.00	(48.40)	(28.40)	20.00
ხორბლის მოსავლის აღება	192.80	300.00	-	(107.20)	192.80	-
ნიადაგის მოხვნა 28 სმ-ის სიღრმეზე	243.90	300.00	350.00	(56.10)	(106.10)	(50.00)
ხნულის კულტივაცია მძიმე დისკოვანი ფარცხით	200.00	200.00	200.00	-	-	-
ხნულის ფრეზირება ვერტიკალური ფრეზით	262.70	300.00	200.00	(37.30)	62.70	100.00
თესვა: ¹¹³ შვრიის; ხორბლის; თავთავიანი კულტურების.	103.10	100.00	200.00	3.10	(96.90)	(100.00)
სასუქების შეტანა გამფანტველით	39.50	100.00	80.00	(60.50)	(40.50)	20.00

დასკვნა

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე 2023 წელს გამოცხადებული სამი ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ფასები, რიგ იდენტურ მომსახურებაზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთანავე, ერთ-ერთ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი, შეუსაბამოდ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიუხედავად, არ იქნა დისკვალიფიცირებული. აღნიშნული მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის ნაკლოვანებებსა და სატენდერო კომისიის არამართლზომიერ ქმედებაზე.

კრიტერიუმი

სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი.¹¹⁴ სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების პროექტს. არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს.¹¹⁵

გარემოება

სხვადასხვა სახის, 380,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, ლაბორატორიული ავეჯის შესყიდვაზე 2023 წელს გამოცხადებული ტენდერის¹¹⁶ ანგარიშსწორების პირობებით დადგენილი არ ყოფილა წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული, არც ხელშეკრულების პროექტის ანგარიშსწორების მუხლით არ განსაზღვრულა, მხოლოდ, ხელშეკრულების პროექტის – ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის

¹¹² ტენდერი 1 - NAT230007691 - 05.04.2023წ.; ტენდერი 2 - NAT230008398 - 13.04.2023წ.; ტენდერი 3 - NAT230009222 - 27.04.2023წ.

¹¹³ NAT230007691 - შვრია; NAT230008398 - ხორბალი; NAT230009222 - თავთავიანი კულტურები.

¹¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 12¹, პუნქტი 5, „ვ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁵ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 17, პუნქტი 1, „ზ“ ქვეპუნქტი და მუხლი 33, პუნქტი 5, „ზ“ ქვეპუნქტი.

¹¹⁶ NAT230006320.

მუხლში¹¹⁷ გაკეთებულია მინიშნება, თანხის წინასწარ მოთხოვნის შესაძლებლობის არსებობაზე.¹¹⁸ ტენდერში გამარჯვებულ პირთან¹¹⁹ 2023 წლის 10 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებაც¹²⁰ გაფორმებულია მითითებული რეგულაციების შესაბამისად. 2023 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით დადგინდა წინასწარი ანგარიშსწორების პირობები და 2023 წლის 22 დეკემბერს მიმწოდებელზე გადარიცხულია სახელშეკრულებო ღირებულების 100% – 329,500 ლარი. აღსანიშნავია, რომ საქონლის მოწოდების თარიღი იყო 2024 წლის 8 იანვარი, ხელშეკრულების მოქმედების თავდაპირველი თარიღი კი, 2024 წლის 20 თებერვალი. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საბოლოოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდად დადგინდა 2024 წლის 10 აპრილი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქონელი სრულყოფილად მოწოდებულია 2024 წლის 3 აპრილს.¹²¹ ფაქტობრივად, წინასწარი ანგარიშსწორების პირობებშიც, საქონელი მოწოდებულია მნიშვნელოვანი დაგვიანებით.

დასკვნა

სხვადასხვა სახის, 380,000 ლარის სავარაუდო ღირებულების, ლაბორატორიული ავეჯის შესყიდვაზე 2023 წელს გამოცხადებული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო დადგენილი წინასწარი ანგარიშსწორების პირობები. აღნიშნულის მიუხედავად, ტენდერში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრა წინასწარი ანგარიშსწორება, სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით. მართლზომიერების პრინციპებიდან გამომდინარე კი მიზანშეწონილია, რომ წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პირობები განსაზღვრული იყოს სატენდერო დოკუმენტაციით, რაც პოტენციურ მიმწოდებლებს ნათელ წარმოდგენას მისცემს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ საკითხზე, რამაც თავის მხრივ შესაძლებელია განაპირობოს კონკურენციის ზრდაც.

კრიტერიუმი

კონტროლის ღონისძიებები მოიცავს წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას.¹²² ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციას მიწოდებული საქონლის ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.¹²³

გარემოება

15,000 ლარის სავარაუდო ღირებულების ქერის შესყიდვაზე, 2023 წლის 3 აპრილს გამოცხადებული ტენდერით¹²⁴ მოთხოვნილია, რომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღეს, მოწოდებულ პროდუქტთან მიმართებით, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ლაბორატორიის მიერ გაცემული

¹¹⁷ მუხლი 17.4.

¹¹⁸ მითითებულია, რომ თეთრ სიაში დარეგისტრირებულ მიმწოდებელს შეუძლია წარმოადგინოს წინასწარ მოთხოვნილი თანხის ნახევრის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ასევე 30 დღით უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

¹¹⁹ შპს „სოლემარტი“.

¹²⁰ ხელშეკრულება N206 - 329,500 ლარი.

¹²¹ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი (98,500 ლარის ღირებულების სქონლის მოწოდება) დათარიღებულია 3 აპრილით და აგრეთვე აღნიშნულია, რომ მოწოდება განხორციელდა ამავე თარიღში, თუმცა ხელმოწერილია 2024 წლის 10 აპრილს. აგრეთვე: 10 აპრილს ხელმოწერილია 2024 წლის 14 მარტით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი (138,100 ლარის ღირებულების საქონლის მოწოდება), რომელშიც მოწოდების თარიღად მითითებულია 2024 წლის 14 მარტი. პირველი მიღება-ჩაბარების აქტი (92,900 ლარის ღირებულების საქონლის მოწოდება) დათარიღებულია 2024 წლის 7 მარტით, რომლის მიხედვით საქონელი მოწოდებულია 2024 წლის 8 თებერვალს, თუმცა ხელმოწერების თარიღია 2024 წლის 12 მარტი.

¹²² „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13, პუნქტი 3, „ე“ ქვეპუნქტი..

¹²³ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 37, პუნქტი 2.

¹²⁴ NAT230007534. 2023 წლის 20 აპრილის ხელშეკრულება N73 - 13,500 ლარი.

ყუათიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული მტკიცებულება ცენტრის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა.

დასკვნა

მარცვლეულის შესყიდვასთან დაკავშირებით, ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ქერის ყუათიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მიუთითებს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებზე.

2.4.5 ხელშეკრულებებით

განსახორციელებელი

მომსახურებების

მოცულობითი

ცვლილებები

კრიტერიუმი

კონტროლის ღონისძიებები მოიცავს, დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას და ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას.¹²⁵ დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.¹²⁶

გარემოება 1

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების შესყიდვაზე 2023 წლის 21 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების¹²⁷ თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 10,459.76 ლარს. განხორციელებული ცვლილების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 947.44 ლარით და შეადგინა 9,512.32 ლარი. აღსანიშნავია, რომ ცვლილებით არ განსაზღვრულა, თუ რა სამუშაოების შემცირების ხარჯზე შეიცვალა სახელშეკრულებო ღირებულება.¹²⁸ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით დგინდება, რომ არ განხორციელებულა მინერალური სასუქების შეტანა. ჰერბიციდების და მკვებავების შეტანა კი განხორციელდა ერთხელ, ნაცვლად თავდაპირველად განსაზღვრული ორჯერადი შეტანისა. ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება,¹²⁹ რომლითაც განისაზღვრებოდა, რომ ამოღებული სამუშაოები უარყოფითად არ იმოქმედებდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ხარისხზე.

გარემოება 2

ანალოგიურად, 2023 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების¹³⁰ ღირებულება შემცირებულია ისე, რომ ცვლილების დოკუმენტით არ განისაზღვრა შესამცირებელი/ამოსადები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახეობები და მოცულობები. ამ შემთხვევაშიც არ არის წარმოდგენილი

¹²⁵ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13, პუნქტი 3, „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტები.

¹²⁶ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მუხლი 36, პუნქტი 2.

¹²⁷ NAT230007691. ხელშეკრულება N75.

¹²⁸ 2023 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით განისაზღვრა მხოლოდ სახელშეკრულებო ღირებულების შემცირება.

¹²⁹ შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მოხსენებითი ბარათი ან/და სხვ.

¹³⁰ NAT230008398. ხელშეკრულება N78.

განხორციელებული ცვლილების მიზანშეწონილობის დოკუმენტური დადასტურება. მოცემულ შემთხვევაში საწყისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 25,744 ლარს, ცვლილების შემდეგ – 16,232 ლარს, ანუ, შესასრულებელი სამუშაოების შემცირებული მოცულობა შეადგენს 9,512 ლარს.¹³¹

დასკვნა

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ცვლილებებით, ღირებულებები შემცირდა ისე, რომ არ განსაზღვრულა შემცირებულ სამუშაოთა სახეობები და მოცულობები. ამასთანავე, ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივად შემცირებულ სამუშაოთა მიზანშეწონილობის დოკუმენტური დადასტურება.

2.4.6 ბაზრის კვლევასთან

დაკავშირებული

ნაკლოვანებები

კრიტერიუმი

ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა), წლიური გეგმის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების/გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების/დადგენის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.¹³² ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა-დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან.¹³³ შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბაზრის კვლევა განხორციელონ სხვადასხვა მეთოდით. მათ შორის ერთ-ერთია, ორ პოტენციურ მიმწოდებელთან კომუნიკაცია, აგრეთვე რეკომენდებულია ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ქმედებების დოკუმენტირება.¹³⁴

გარემოება

ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა, განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებული, ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. ცენტრის განმარტებით, რიგ შემთხვევებში, ინფორმაციის წარმოდგენლობა დაკავშირებულია ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერის წაშლასთან. აგრეთვე

¹³¹ ამოღებულია/შემცირებულია შემდეგი სამუშაოები: მინერალური სასუქის შეტანა გამფანტველით, სიმინდის რიგთაშორისი კულტივაცია, სიმინდის თესვა სასუქის შემტანით, ხნულის კულტივაცია მძიმე დისკოებიანი ფარცხით, ხნულის ფრეზირება ვერტიკალური ფრეზით, ნიადაგის მოხვნა, ხორბლის მოსავლის აღება.

¹³² სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშების წესის“ მუხლი 4, პუნქტი 6.

¹³³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

¹³⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევის განხორციელებასთან მიმართებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, ბაზრის კვლევა დასტურდება მხოლოდ ერთ პოტენციურ მიმწოდებელთან.

დასკვნა

ზოგიერთ შესყიდვასთან მიმართებით, ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. შესაბამისად, მოცემულ შესყიდვებთან მიმართებით, ვერ იქნა მიღებული დასაბუთებული რწმუნება, ცენტრის მიერ წინამოსამზადებელი სამუშაოების სათანადო განხორციელებაზე.

აუდიტორები

ხელმოწერა

მამუკა გოგოხია
წამყვანი აუდიტორი

ნოდარ ვეკუა
მთავარი აუდიტორი

რაინ ყუფუნია
წამყვანი აუდიტორი

ალექსანდრე მღებრიშვილი
წამყვანი აუდიტორი

გიორგი ვასილევსკი
აუდიტორი

სიმონ კიპაროიძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

დანართები

დანართი N1

ინფორმაცია 2022-2023 წლებში დაგეგმილ და ჩატარებულ კვლევებზე

ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - 2022 წელი	
აქტივობის ნომერი და სახელწოდება	აქტივობა 2.5.1: საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებსა და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება
პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 2022 წელს კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა: 4436 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა: 80 სული	შესრულებული: 2022 წელს, კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა - 14,374 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა - 80 სული;
	შენიშვნა: არსებული ინდივიდების რაოდენობის ასეთი ზრდა გამოიწვია ხობის მუნიციპალიტეტში ერთწლიანი პროექტის ფარგლებში ლოკოკინებზე ჩატარებულმა ცდებმა. რომელიც დამთავრდა საანგარიშო წელს და მიმდინარე წელს აღარ განხორციელდება. ამ რაოდენობის გარეშე არსებული ინდივიდების რაოდენობა დაგეგმილის ტოლია.

ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - 2022 წელი	
აქტივობის ნომერი და სახელწოდება	აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება
პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 2022 წელს კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა: 897 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა: 900 ნიმუში	შესრულებული: კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა: 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა: 879 ნიმუში

ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - 2023 წელი	
აქტივობის ნომერი და სახელწოდება	აქტივობა 2.5.1: საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებსა და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 2023 წელს კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა: 4658 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა: 90 სული	შესრულებული: 2023 წელს კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა: 5467 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა: 90 სული

ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - 2023 წელი	
აქტივობის ნომერი და სახელწოდება	აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება
პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 2023 წელს კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა: 917 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა: 920 ნიმუში	შესრულებული: კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა: 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა: 1087 ნიმუში.

დანართი N2

დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი

საანგარიშო წელი	დამტკიცებული	დაზუსტებული	გადახდა ბიუჯეტიდან	სხვაობა (დაზუსტებული - დამტკიცებული)
2022	5,378,500	5,608,200	5,570,000	229,700
2023	5,850,000	6,440,700	6,404,800	590,700

დანართი N3

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება

კოდი	დასახელება	2022 წელი		2023 წელი	
		წლიური ასიგნება	გადახდა	წლიური ასიგნება	გადახდა
31 04 01	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების პროგრამის ადმინისტრირება და მართვა	3,558,100	3,539,545	3,904,700	4,137,864
31 04 02	საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ზანკის შექმნა	862,500	857,131	539,100	530,389
31 04 03	ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება	1,080,300	1,072,357	1,865,550	1,861,539
31 04 04	სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევა	24,100	22,762	42,300	42,045
31 04 05	საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით	83,200	78,797	89,000	88,089
სულ:		5,608,200	5,570,592	6,440,650	6,659,926

დანართი N4

საკუთარი შემოსავლები

კოდი	დასახელება	2022		2023	
		წლიური ასიგნება	გადახდა	წლიური ასიგნება	გადახდა
31 04 01	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების პროგრამის ადმინისტრირება და მართვა	140,000	115,470	212,300	203,550
31 04 03	ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება	15,000	7,298	131,000	46,510
სულ:		155,000	122,768	343,300	250,060

დანართი N5

სააუდიტო პერიოდში მოქმედი, რუსთაველის ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებები

საგრანტო ხელშეკრულება	დასახელება	მთლიანი გრანტი	ცენტრის წილი
FR-18-18474 - 25.02.2019	საქართველოს ველური ვაზი: შესწავლა და დაცვა	211,593	211,593
FR-18-978 - 27.02.2019	საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეული მაღალმოსავლიანი, დაავადებებისადმი გამძლე საშემოდგომო ხორბლის გენოტიპების იდენტიფიცირება საქართველოს სხვადასხვა გარემო პირობებში	225,378	77,680
FR-18-874 - 01.03.2019	ვაზის ფიტოპლაზმური დაავადების კვლევა თანამედროვე მეთოდებით (DAS-ELISA, qPCR) ჯანსაღი სანერგე მასალის წარმოების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში	228,217	228,217
FR-19-21496 - 13.03.2020	ქართული მთის ჯიშის ძროხის გენეტიკური მრავალფეროვნების განსაზღვრა და სხვა ჯიშებთან ნათესაური კავშირის დადგენა	160,000	160,000
SP-2-21-250 - 16.12.2021	ცხოველთა ინფექციური დაავადებები (ცნობარი)	5,850	5,850
YS-21-342 - 21.12.2021	მოტობლოკის ბაზაზე ბაზოს წარმომქმნელი და მულქსაფარი ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო კომბინირებული აგრეგატი	60,000	30,000
STEEM-22-834 - 23.12.2022	თხილის ბაქტერიული (<i>Xantomonas arboricola</i> , <i>Pseudomonas avellanae</i>) და ვირუსული (APMV, PNRSV) ინფექციების კვლევა სეროლოგიური (ELISA), მოლეკულური (PCR, LAMP) მეთოდებით, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და ფერმერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება	139,380	139,380
FR-22-6780 - 17.02.2023	ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოში მაღალი რისკის რეგიონებში	240,000	94,900
FR-22-697 - 15.03.2023	ლურჯი მოცვის ბაღების მონიტორინგი და მართვა საქართველოს პირობებში	240,000	97,500
FR-22-2188 - 17.03.2023	საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა	238,460	238,460
MG-ISE-23-2161 - 01.08.2023	2023 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტით დაფინანსება და გრანტის მიმღების მიერ პროექტითა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება	44,296	44,296
FR-23-1133 - 18.12.2023	ვაზის ფიტოპლაზმური დაავადებების (GY) გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა და EPPO სტანდარტებით სარგავი მასალის სერტიფიცირების პროგრამის ხელშეწყობა საქართველოში	238,850	238,850
FR-23-15732 - 19.12.2023	ვაზის მავნებლობის საწინააღმდეგო ეკოლოგიურად უსაფრთხო კომპოზიციის შემუშავება	240,000	121,440

დანართი N6

მიზნობრივი გრანტები

გრანტის გამცემი	მიზნობრიობა	აშშ დოლარი
ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების - ჰიდროპონიკური ტექნოლოგიების და სისტემების დანერგვა/შემუშავება საქართველოში	69,000
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში პროექტის ფარგლებში აგრომეტეოროლოგიური პლატფორმის (GECSA) და შესაბამისი ექსტენციის სერვისების განვითარება	32,000
გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)	კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და in-situ/on farm and ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება	49,720

დანართი N7

ინფორმაცია 2022 წელს საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვის, ცვლილების და შესრულების შესახებ

დასახელება (პროგრამული კოდი 31 04)	2022 წლის განაცხადი	გეგმა დამტკიცებული 2022 წლის ბიუჯეტით	გეგმა დაზუსტებული 2022 წელი	გადახდა	სხვაობა განაცხადს ა და კანონით დამტკიცებული შორის	სხვაობა დამტკიცებულსა და დაზუსტებულს შორის	სხვაობა დამტკიცებული და გადახდას შორის
სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება ხარჯები	5,800,000	5,378,500	5,608,200	5,570,592	421,500	(229,700)	(192,092)
შრომის ანაზღაურება	4,722,000	4,660,500	5,119,500	5,083,333	61,500	(459,000)	(422,833)
თანამდებობრივი სარგო	1,785,000	1,963,500	2,170,500	2,167,749	(178,500)	(207,000)	(204,249)
ჯილდო/პრემია	1,785,000	1,963,600	2,049,500	2,049,330	(178,600)	(85,900)	(85,730)
საქონელი და მომსახურება	-	-	120,000	118,419	-	(120,000)	(118,419)
შრომით ხელმ. ანაზღაურება	2,787,000	2,602,000	2,867,400	2,836,187	185,000	(265,400)	(234,187)
თანამდ. სარგო	1,613,000	1,613,000	1,711,867	1,708,395	-	(98,867)	(95,395)
პრემია	1,613,000	1,613,000	1,639,867	1,639,466	(1,613,010)	(26,857)	(26,456)
გრანტები	-	-	72,000	68,929	-	(72,000)	(68,929)
სოციალური უზრუნველყოფა	11,000	11,000	10,600	10,561	-	400	439
სხვა ხარჯები	70,000	30,000	47,000	45,398	40,000	(17,000)	(15,398)
არაფინანსური აქტივების ზრდა	69,000	54,000	24,000	23,437	15,000	30,000	30,563
არასაცხოვრებელი შენობები	1,158,000	718,000	488,700	487,259	440,000	229,300	230,741
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	70,000	70,000	455,195	454,179	-	(385,195)	(384,179)
	1,088,000	648,000	32,928	32,928	440,000	615,072	615,072

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE